საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის

ბრძანება №2-825

2021 წლის 7 ივნისი

ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 6 სექტემბრის №2-742 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 6 სექტემბრის №2-742 ბრძანებით (www.matsne.gov.ge, 360160000.22.023.016545, 10/09/2018) დამტკიცებულ დებულებაში შეტანილი იქნეს ცვლილება და დებულების:

ა) **მე-2 მუხლის:**

ა.ა) **მე-3 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ბ) გარემოსდაცვით ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უზუნველყოფა ვებგვერდისა და სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებების (ელექტრონული, ბეჭდური, სატელევიზიო და სხვა) გზით;

გ) სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში, პრინციპის ,,გარემოსდაცვითი განათლება მდგრადი განვითარებისათვის" ხელშეწყობა (მათ შორის, ტრენინგების, კვალიფიკაციის ამაღლების კურსების, სემინარების ორგანიზების გზით) და შესაბამისი სტრატეგიის შემუშავება/განხორციელება;“;

ა.ბ) **მე-3 პუნქტს „გ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „$გ^1$“ ქვეპუნქტი:**

„$გ^1$) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამ(ებ)ის შემუშავება, განხორციელება და შესაბამისი პროცესის მართვა;“;

ა.გ) **მე-3 პუნქტის „ს“ ქვეპუნქტი ამოღებული იქნას.**

ბ) **მე-7 მუხლის:**

ბ.ა) **მე-2 პუნქტს „ი“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „$ი^1$“ ქვეპუნქტი:**

„$ი^1$) ცენტრის კომპეტენციიდან გამომდინარე, გამოსცემს პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამ(ებ)ის მართვისა და განხორციელების უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საორგანიზაციო ხასიათის სამართლებრივ აქტებს;“;

ბ.ბ) **მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„3. ცენტრის დირექტორს ჰყავს ერთი მოადგილე, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ცენტრის დირექტორი. დირექტორის არყოფნის ან მის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს დირექტორის მოადგილე.“;

გ) **მე-8 მუხლის „დ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.**

დ) **მე-9 მუხლის:**

დ.ა) **პირველი პუნქტის:**

დ.ა.ა) **„დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„დ) ხელს უწყობს ამ დებულების მე-2 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული სემინარების, ტრენინგებისა და კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების, შესაბამისი სპეციალისტების მომზადებას, უზრუნველყოფს პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამ(ებ)ის შემუშავებას, მართვასა და განხორციელებას, სამეცნიერო-საკონსულტაციო მომსახურებების განხორციელებასა და ცენტრის სახელით მონაწილეობს ამ ღონისძიებებში/საქმიანობებში;“;

დ.ა.ბ) „ზ“ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ზ) თანამშრომლობს ადგილობრივ, პროფესიულ და საერთაშორისო საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან;“;

დ.ბ) მე-2 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ლ) უზრუნველყოფს საინფორმაციო სისტემის განვითარების და კონკრეტული კომპონენტების განხორციელების ხელშეწყობას;“;

დ.გ) 3^1 პუნქტი ამოღებულ იქნეს.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი **ლევან დავითაშვილი**